ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა

კომისიის სხდომის ოქმი №32

17 ნოემბერი 2023 წელი

14:00 საათი

ა/წ 17 ნოემბერს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. ზურაბ ჩიკვილაძე;
2. ირაკლი ხელაძე;
3. ლევან აბაშიძე;
4. ანა კაკაბაძე;
5. ნათია მოდებაძე;
6. მამუკა გუგეშაშვილი;
7. ვახტანგ სურგულაძე.

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი თამარ გოგიტიძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ლევან მიქავა.

სხდომის დღის წესრიგი:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N20-122 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე. სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა, დამსწრე წევრებს წარუდგინა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის დღის წესრიგი.

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა თამარ გოგიტიძემ წარმოადგინა დღის წესრიგით წარმოდგენილი პირველი საკითხი ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N20-122 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტსი. პროექტის თანახმად ცვლილება შედის სახსრების ენდოპროთეზირების დაფინანსების ქვეპროგრამის წესში, წესში ცვლილება განაპირობა ქვეპროგრამის ფარგლებში ელექტრონული მოდულის დანერგვამ, კერძოდ, მიმართვების ადმინისტრირების ელექტრონულ მოდულზე გადასვლით, გაჩნდა საჭიროება დაზუსტებულიყო ქვეპროგრამის მოსარგებლეების კრიტერიუმები, ქვეპროგრამის განხორციელების მექანიზმი, მოსარგებლეების ქვეპროგრამაში ჩართვის პროცედურა, მიმწოდებელთან ანგარიშგება და ანაზღაურება, გაიწერა მოთხოვნის განხილვისა და დაფინანსების პროცედურები, კონტროლის განხორციელება და შესრულებული სამუშაოს ინსპექტირება.

სახსრების ენდოპროთეზირების დაფინანსების ქვეპროგრამის წესში გაჩნდება პირველი პრიმა მუხლი - „ტერმინთა განმარტება", რომლითაც დეტალურად გაიწერება წესში გამოყენებული ტერმინების მნიშვნელობები.

პროექტის მიხედვით, ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით, მოსარგებლემ ან მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა უნდა მიმართოს შესაბამის მიმწოდებელს. რაც შეეხება, დაფინანსების საკითხის განხილვისათვის საჭირო დოკუმენტაციას, აღნიშნულს მიმწოდებელი, მოდულის მეშვეობით, ელექტრონულად წარუდგენს სამსახურს. სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია მოდულის მეშვეობით ელექტრონულად წარმოადგინოს: ა) მოსარგებლის რეკვიზიტები (პირადი ნომერი, სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, იურიდიული მისამართი, ფაქტობრივი მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია, სამუშაო ადგილი. იძულებით გადაადგილებული პირის შემთხვევაში, იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის შესახებ ინფორმაცია; ბ) პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (ფორმა №IV-100/ა), რომელიც გაცემული უნდა იყოს მოდულში დაფინანსების მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღამდე არაუმეტეს 3 თვით ადრე. გ) წინასწარი კალკულაცია (ინვოისი). ამასთან, მოსარგებლემ/მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა, მიმწოდებლის მიერ მოდულში მოთხოვნის წარდგენის შემდგომ, ქვეპროგრამის განმახორციელებელს უნდა წარუდგინოს ცნობა კერძო სადაზღვევო კომპანიიდან დაფინანსების თაობაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

„სახსრების ენდოპროთეზირების დაფინანსების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესს დაემატება მე-5 პრიმა მუხლი „მოთხოვნის განხილვა და დაფინანსების პროცედურები“, რომლის მიხედვითაც დგინდება, რომ მიმწოდებლის მიერ მოდულის მეშვეობით წარმოდგენილი მოთხოვნის მიღების შემდგომ, ქვეპროგრამის განმახორციელებელი ამოწმებს წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისრულეს და იღებს გადაწყვეტილებას დაფინანსების გაცემის ან არ გაცემის შესახებ. ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მოსარგებლე პირი ან მისი წარმომადგენელი მოკლეტექსტური შეტყობინების სახით ავტომატურად მიიღებს მოთხოვნის უნიკალურ კოდს, რომელიც უნდა წარუდგინოს მიმწოდებელს, რათა მოხდეს გადაწყვეტილების გააქტიურება. პროექტის მიხედვით, დეტალურად გაიწერა სახსრების ენდოპროთეზირების დაფინანსების მოქმედების ვადები. სახსრების ენდოპროთეზირების დაფინანსების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გააქტიურება უნდა განხორციელდეს მისი გაცემიდან არაუმეტეს 60 (სამოცი) დღის ვადაში. ამასთან, სახსრების ენდოპროთეზირების დაფინანსების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გააქტიურების ვადის გასვლის შემდეგ, მიღებული გადაწყვეტილება ითვლება გაუქმებულად, თუ მოთხოვნის შესწავლისას დადგინდა, რომ პირზე უკვე გაცემულია სახსრების ენდოპროთეზირებისათვის საჭირო დაფინანსება, თუმცა ამოწურულია გადაწყვეტილების გააქტიურების როგორც პირვანდელი, ასევე (მოთხოვნის შემთხვევაში) ერთჯერადად გაგრძელებული ვადა. ქვეპროგრამის განმახორციელებელი თავიდან განიხილავს მოთხოვნას და იღებს გადაწყვეტილებას, თუკი დადასტურდება, რომ არ მომხდარა დაფინანსებული თანხის გამოყენება. აღნიშნული დანაწესი ვრცელდება ისეთ შემთხვევებზეც, როდესაც მოხდა დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების გააქტიურება მიმწოდებლის მიერ, თუმცა მოსარგებლეს, სამედიცინო მომსახურებით ამ მიმწოდებლისგან არ უსარგებლია.

ცვლილებები შეეხება „სახსრების ენდოპროთეზირების დაფინანსების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის მე-6 მუხლს მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდება შემდეგი ფორმულირებით: „მიმწოდებელი ვალდებულია ქვეპროგრამის განმახორციელებელს წარუდგინოს შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაცია, თვის პირველიდან 11 რიცხვამდე, მომსახურების სრულად მიწოდების საანგარიშგებო თვის მომდევნო ორი თვის განმავლობაში.

მიმწოდებლის მიერ ანგარიშგებისას წარმოდგენილი უნდა იქნეს:

ა) წერილობითი ინფორმაცია მოსარგებლეთათვის სამედიცინო მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით, ბ) ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი, გ) სამსახურის მიერ დადგენილი ფორმის შესაბამისად, შემთხვევათა ელექტრონული რეესტრი, დ) შესრულებული სამუშაოს შესაბამისი ფორმა №IV-100/ა;“

ამასთან, აღნიშნულ მუხლს დაემატება მე-3 პუნქტი, რომლითაც დაზუსტება ის სამართლებრივი შედეგები, რაც დადგება, იმ შემთხვევაში, თუკი მიმწოდებლის მიერ დაირღვევა ამ მუხლით დადგენილი შესრულებული სამუშაოს წარმოდგენის ვადა ან/და სახსრების ენდოპროთეზირების დაფინანსების მოქმედების ვადები ან/და სამსახურის მონიტორინგის განყოფილება დადებს უარყოფით დასკვნას.

რაც შეეხება ანაზღაურების ნაწილს, განისაზღვრება, რომ შესრულებული სამუშაოს შესაბამისი თანხის ანაზღაურება მოხდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი ინფორმაციის დოკუმენტური ინსპექტირების შემდეგ, რომლის საფუძველზეც ხორციელდება მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურისათვის ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ წერილის მომზადება, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად,

შესაბამის სამედიცინო დაწესებულების ანგარიშზე თანხის გადარიცხვის მოთხოვნით. ამასთან, მოსარგებლის მხრიდან სახსრების ედოპროთეზირებისთვის თანხის წინასწარი გადახდისას, აღნიშნული შემთხვევა აღარ ექვემდებარება ანაზღაურებას.

ცვლილების პროექტის მიხედვით, წესს დაემატება მე-9 მუხლი, სახელწოდებით: „კონტროლის განხორციელება", რომლითაც გაიწერება წესის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების შესრულების კონტროლის პროცედურები. კონტროლი განხორციელდება სამსახურის პროგრამების მონიტორინგის განყოფილების მიერ, წინასწარ შერჩეული შემთხვევების ინსპექტირების გზით. შემთხვევის შემოწმებისას, ხორციელდება მონიტორინგის განყოფილების წარმომადგენლის ვიზიტი მიმწოდებელთან და შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაციით მოწოდებული ინფორმაციის გადამოწმება, საჭიროების შემთხვევაში მოსარგებლესთან ან/და მომსახურების/საჭიროების მიმწოდებელთან გასაუბრება. საჭიროების შემთხვევაში, კონტროლზე უფლებამოსილმა პირმა, შესაძლოა განმეორებითი ვიზიტი განახორციელოს მიმწოდებელთან. ამასთან, თუ შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები და შემთხვევის შესახებ ინფორმაცია არ ემთხვევა შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელ დოკუმეტაციაში წარმოდგენილ ინფორმაციას, მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს თანხის დაბრუნება.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი დააყენა კენჭისყრაზე, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი აღნიშნულ დადგენილების პროექტს.

2. აქვე, წარმოდგენილი იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-2 საკითხი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ლევან მიქავამ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი წარმოადგინა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის მოცულობა განისაზღვრა 1 700,912.4 ათასი ლარით, რაც 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (1 632,132.6 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 68,779.8 ათასი ლარით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი პრიორიტეტების დაფინანსება: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა - 542 391,1 ათასი ლარი; ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება - 223 111,1 ათასი ლარი; ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 213 611,1 ათასი ლარი; ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 1 879,5 ათასი ლარი; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 38 296,3 ათასი ლარი; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 154 685.2 ათასი ლარი; განათლება - 246 047,1 ათასი ლარი; კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 35 534,7 ათასი ლარი; საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 6 297,0 ათასი ლარი. ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 239 059,3 ათასი ლარი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით განისაზღვრა თბილისის პრიორიტეტები:

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 154 685,2 ათასი ლარით, რაც 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (144 160,7 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 10 524,5 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში ჯანდაცვის პროგრამისათვის განსაზღვრულია 32 783,0 ათასი ლარი, მათ შორის გრძელდება გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია, ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება, გაფანტული სკლეროზის და ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების, სახსრების ენდოპროტეზირების, დაავადებათა სკრინინგის და ტრანსპლანტაციის დაფინანსება. სოციალური დაცვის პროგრამისთვის ჯამში გათვალისწინებულია 121 902,2 ათასი ლარი. გრძელდება შემდეგი ქვეპროგრამების დაფინანსება: კომუნალური სუბსიდირება, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება, სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსება, სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება, შინმოვლის დანადაფინანსება, მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა, უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში, სასახლეში, ხელოვნების სკოლებში, სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში, თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, საკურორტო მომსახურება და დახმარება, უფასო სასადილოებით მომსახურება რაიონებში, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები რაიონებში და სხვა;

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა - 542 391,1 ათასი ლარით, რაც 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (522 096,4 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 20 294,7 ათასი ლარით.

ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება - 223 111,1 ათასი ლარით, შემდეგ პროგრამებზე/ ქვეპროგრამებზე: საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია - 32 703,8 ათასი ლარი (მათ შორის გრძელდება უნივერსიტეტის ქუჩისა და ბაგების დამაკავშირებელი ხიდური გადასასვლელის მოწყობის სამუშაოები, საყრდენი კედლების მშენებლობა-რეკონსტრუქცია, სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელების მოწყობა-რეკონსტრუქცია, სანიაღვრე კოლექტორების მშენებლობა რეაბილიტაცია), ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება - 7 000,0 ათასი ლარი (დაახლოებით 37- მდე შენობა-ნაგებობის გამაგრება), გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია - 33 000,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები - 65 343,7 ათასი ლარი (კეთილმოწყობის ღონისძიებები რაიონებში გათვალისწინებულია 58 188,2 ათასი ლარი), ავარიული სახლების ჩანაცვლება - 20 000,0 ათასი ლარი (გრძელდება 3 და დაიწყება 16 ახალი კორპუსის მშენებლობა, ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში სამგორის რაიონში ბინის ქირით უზრუნველყოფილია 95 ოჯახი - 1 072,0 ათასი ლარი, ხოლო ავარიული სახლების ჩანაცვლების ფარგლებში გადასაცემი უძრავი ქონების რემონტისათვის გათვალისწინებულია 2 200,0 ათასი ლარი), ქალაქის განვითარების ხელშეწყობის - 43 638,0 ათასი ლარი (პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება უკვე დაწყებული პროექტების დაფინანსება, როგორიცაა: ისტორიულკულტურული ძეგლების, სადარბაზოების, მუზეუმების და სხვა შენობების რეაბილიტაცია, საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის (ADB) ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახდელად გათვალისწინებულია 2,000.0 ათასი ლარი);

ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 213 611,1 ათასი ლარით, რაც 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (211 901,7 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 1 709,4 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში გამწვანების ღონისძიებებისათვის გათვალისწინებულია 65 901,3 ათასი ლარი (მათ შორის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია/მწვანე კუნძულების მოწყობა, გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა, სარწყავი სისტემების მოწყობა, ფერდობებზე ტყის გაშენება და სხვა), დასუფთავების ღონისძიებებისათვის გათვალისწინებულია 132 105,6 ათასი ლარი (მათ შორის თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის და თბილისის მუნიციპალური მომსახურების სესხის ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 3 000,0 ათასი ლარი, საყოფაცხოვრებო პოლიგონის მე-4 უჯრედის მშენებლობის დასამთავრებლად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 14 ივნისის N23.871.970 განკარგულებით აღებული ვალდებულების დასაფარად - 15,105.6 ათასი ლარი), ბოტანიკური ბაღის განვითარების (გარდამავალი პროექტების დასაფინანსებლად (მათ შორის ლეღვთახევი 5 მლ ლარი, ადმინისტრაციული შენობის დასრულება) და თბილისის ზოოლოგიური პარკის ხელშეწყობა - 15 604,2 ათასი ლარი; 5

კონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 1 879,5 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში გრძელდება შემდეგი პროგრამების დაფინსება: ბიზნესის სტიმულირება - 383,5 ათასი ლარი, თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები - 326,0 ათასი ლარი, თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში - 130,0 ათასი ლარი, მერიის სისტემის საქმიანობის ხელშეწყობა - 370,0 ათასი ლარი, თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა - 480,0 ათასი ლარი, ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია 190,0 ათასი ლარი;

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 38 296,3 ათასი ლარი, მათ შორის გლდანის რაიონში - 4 000,0 ათასი ლარი, ნაძალადევის რაიონში - 3 000,0 ათასი ლარი, დიდუბის რაიონში - 3 259,0 ათასი ლარი, ჩუღურეთის რაიონში - 4 000,0 ათასი ლარი, ვაკის რაიონში - 4 000,0 ათასი ლარი, საბურთალოს რაიონში - 3 500,0 ათასი ლარი, ისნის რაიონში - 4 940,0 ათასი ლარი, სამგორის რაიონში - 5 000,0 ათასი ლარი, კრწანისის რაიონში - 2 567,3 ათასი ლარი, მთაწმინდის რაიონში - 4 030,0 ათასი ლარი. პრიორიტეტის ფარგლებში გრძელდება მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში სახურავების შეკეთება (ბრტყელი და ქანობიანი გადახურვა), ლიფტების მიმდინარე შეკეთება და რეაბილიტაცია, შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობების შეკეთება, სადარბაზოების სარემონტო სამუშაოები, შენობის ან/და მისი შემადგენელი ელემენტების კაპიტალური გამაგრებითი სამუშაოები და სხვა ღონისძიებები;

განათლება დაიგეგმა - 246 047,1 ათასი ლარით, რაც 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (225 917,8 ათსი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 20 129,3 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობას 205 358,8 ათასი ლარის ოდენობით (გრძელდება დაწყებული პროექტების დაფინანსება, მათ შორის: ავარიული საბავშვო ბაგა-ბაღების ადგილას ახლის მშენებლობა და ავარიული ბაღების გამაგრება/რეაბილიტაცია: დასრულდება 2 ბაღის მშენებლობა და 1 ბაღის კაპიტალური რეაბილიტაცია), გაგრძელდება შემდეგი პროგრამების/ქვეპროგრამების დაფინანსება: სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა, ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა, უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა, პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა, მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ხელშეწყობა, იურიდიული კლინიკა და სხვა;

კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 35 534,7 ათასი ლარით. გაგრძელდება კულტურის ობიექტების (თეატრები, მუზეუმი, გალერეა, საბალეტო დასი, ბიგ-ბენდი, პანთეონი) დაფინანსება, სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა, წარმატებული სპორტსმენი ბავშვების და მწვრთნელთა მხარდაჭერა, პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა, სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია, სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები (დასრულდება მულტიფუნქციური სპორტული ცენტრის მშენებლობა და 2 ცენტრის აღჭურვა), კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები (მათ შორის ოთარ თაქთაქიშვილის სახ. N19 ხელოვნების სკოლის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება), მუზეუმების გაერთიანების ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ილია ჭავჭავაძის სახლ მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება და დაიწყება თოჯინების მუზეუმისათვის გამოყოფილი სივრცის სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოები; დაიწყება ფიზიკური დატვირთვების სკრინინგი (სპორტულ ცენტრებში 18 წლამდე ასაკის ბენეფიციართა ფიზიკური დატვირთვების და ჯანმრთელობის სკრინინგი). ასევე, გათვალისწინებულია სპორტული, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა, კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა და სხვა;

მ/წ 17 ნოემბრის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ქ.თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტის (12-032331753-03) შესწავლისა და მსჯელობის შედეგად, კომისიამ გადაწყვიტა, პროექტის მიმართ წარდგენილ იქნეს შემდეგი სახის რეკომენდაცია:

ჯანმრთელობის დაცვის (კოდი: 06 01) ქვეპროგრამებს დაემატოს რევმატოიდული ართრიტის სამკურნალო ბიოლოგიური პრეპარატების დაფინანსების ქვეპროგრამა, ფინანსური ჭერის შესაძლებლობების შესაბამისად.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისია მიზანშეწონილად თვლის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ (საკრებულოს 12-032331753-03. (01-01233173108) 13.11.2023 წ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი დაუბრუნდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინების მიზნით.

ჯანმრთელობის დაცვის და სოცილურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი დააყენა კენჭისყრაზე, წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს მამუკა გუგეშაშვილმა და ვახტანგ სურგულაძემ, ხოლო, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.

3. ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ლევან მიქავამ დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-3 საკითხი წარმოადგინა. რომელიც თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში ცვლილებებს შეეხებოდა,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს ფაქტიურად მიღებული შემოსავლებისა და მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით, კერძოდ იზრდება გადასახადების ნაწილში დამატებული ღირებულების გადასახადი - 12 345,2 ათასი ლარით (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2023 წლის 29 სექტემბრის NN 04-03/76698 წერილი) და საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით, გრანტების ნაწილში სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მისაღები გრანტები (სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან) მცირდება – 19 000,0 ათასი ლარით (სესხის პროექტების ფარგლებში გადასახდელი დღგ). შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა შეადგენს 1 826 328,8 ათას ლარს. ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი საქალაქო სამსახურის, რაიონის გამგეობის და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი 01 01 13) ქვეპროგრამის ასიგნებები – 252,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ისნის რაიონში (კოდი 01 01 14) - 100,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება სამგორის რაიონში (კოდი 01 01 15) - 16,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება კრწანისის რაიონში (კოდი 01 01 16) - 240,0 ათასი ლარით, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება (კოდი 02 02) პროგრამის ასიგნებები - 580,0 ათასი ლარით, გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია (კოდი 02 05) - 1 815,1 ათასი ლარით, ღონისძიებების უზრუნველყოფა (კოდი 02 07) - 4 621,3 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) ქვეპროგრამის ასიგნებები - 100,5 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 02 09 11) ქვეპროგრამის ასიგნებები - 16.0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 02 09 17) - 40,1 ათასი ლარით, დასუფთავების ღონისძიებების (კოდი 10 095,0 ათასი ლარით, ბიზნესის სტიმულირება (კოდი 04 01) პროგრამის ასიგნებები - 825,7 ათასი ლარით, დაავადებათა სკრინიგი (კოდი 06 01 02) - 500,0 ათასი ლარით, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია (კოდი 06 01 06) - 291,0 ათასი ლარით, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება (კოდი 06 02 02) - 199,8 ათასი ლარით, უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში (კოდი 06 02 06 02) - 22,0 ათასი ლარით, სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები (კოდი 06 02 09) - 1 103,5 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 18 15) - 100,0 ათასი ლარით, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) - 6 500,0 ათასი ლარით, კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა (კოდი 08 05) პროგრამის ასიგნება - 385,0 ათასი ლარით, ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი 08 08 01) ქვეპროგრამის ასიგნება - 268,0 ათასი ლარით, ქ.თბილისის საკრებულო (კოდი 10 01) - პროგრამის ასიგნება - 900,0 ათასი ლარით.

მცირდება გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში (კოდი 01 01 08) ქვეპროგრამის ასიგნებები - 84,7 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ნაძალადევის რაიონში (კოდი 01 01 09) - 16.0 ათასი ლარით, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) - 3 000,0 ათასი ლარი, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) - 10 000,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 02 09 15) - 252,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 02 09 16) - 100,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 02 09 18) - 240,0 ათასი ლარით, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) პროგრამის ასიგნებები - 1 000,0 ათასი ლარით, ავარიული სახლების ჩანაცვლება (კოდი 02 12) - 1 000,0 ათასი ლარით, თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები (კოდი 04 03) - 313,1 ათასი ლარით, თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში (კოდი 04 04) - 31,4 ათასი ლარით, შიდა აუდიტორული სისტემის გამართვა (კოდი 04 07 02) - ქვეპროგრამის ასიგნებები - 40,0 ათასი ლარი, სახელმწიფო შესყიდვების სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის მომსახურება (კოდი 04 07 03) - 10,0 ათასი ლარით, საფინანსო სისტემის მოწესრიგების ღონისძებები (კოდი 04 07 05) - 284,0 ათასი ლარით, თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა (კოდი 04 08) პროგრამის ასიგნებები - 115,0 ათასი ლარით, ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია (კოდი 04 09) - 75,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის რაიონში (კოდი 05 01 08) ქვეპროგრამის ასიგნებები - 15,9 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა სამგორის რაიონში (კოდი 05 01 15) - 56.1 ათასი ლარით, ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 01 07) - 100,0 ათასი ლარით, ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება (კოდი 06 01 08) - 40,0 ათასი ლარით, მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა (კოდი 06 02 03) - 16,5 ათასი ლარით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურება (კოდი 06 02 04) - 304,0 ათასი ლარით, უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში (კოდი 06 02 06 01) - 48,4 ათასი ლარით, უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში (კოდი 06 02 06 03) - 50,0 ათასი ლარით, სერვის ცენტრებში სამგზავრო ბარათების დამზადება (ინიციალიზაცია) (კოდი 06 02 06 04) - 31,5 ათასი ლარით, სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 02 08) - 1 250,0 ათასი ლარით, მარტოხელა ხანდაზმულთა დღის ცენტრის ხელშეწყობა (კოდი 06 02 13) - 5,5 ათასი ლარით, სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება (კოდი 06 02 24) - 21,5 ათასი ლარით, სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება (კოდი 06 02 25) - 34,9 ათასი ლარით, შინმოვლის თანადაფინანსება (კოდი 06 02 26) - 78,0 ათასი ლარით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა (კოდი 06 02 28) - 136,0 ათასი ლარით, ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) - 70,0 ათასი ლარით, პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა (კოდი 07 04) პროგრამის ასიგნება - 198,0 ათასი ლარით, მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ხელშეწყობა (კოდი 07 06 01) - 37,5 ათასი ლარით, თბილისის საშემსრულებლო ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი (კოდი 08 01 03) - 100,0 ათასი ლარით, სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა (კოდი 08 02) პროგრამის ასიგნებები - 185,0 ათასი ლარით, შემოქმედებითი თბილისი (კოდი 08 09) - 100,0 ათასი ლარით, მერიის ადმინისტრაცია (კოდი 10 02) - 5 068,7

ათასი ლარით, მდგრადი ურბანული მობილობა - გონიერი სატრანსპორტო სისტემა (KfW) (კოდი 10 23) - 4 700,0 ათასი ლარით, თბილისის 3 მეტროს სადგურების მოდერნიზაციის პროექტი (კოდი 10 25) - 2 986,0 ათასი ლარით, კრწანისის რაიონის გამგეობა (კოდი 10 35) - 50,0 ათასი ლარით, თბილისის მეტროს პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 48) - 3 381,1 ათასი ლარით. ასევე, დაზუსტდა ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა, კერძოდ: გაიზარდა ქალაქის განვითარების ხელშეწყობის (კოდი 02 10) პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ თბილისის განვითარების მომუშავეთა რიცხოვნობა 18 ერთეულით, ხოლო შემცირდა მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობის (კოდი 08 03 12) ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ მუზეუმების გაერთიანების მომუშავეთა რიცხოვნობა 7 ერთეულით. შესაბამისად, ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა მთლიანობაში განისაზღვრა 4788 ერთეულით.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი დააყენა კენჭისყრაზე, წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს მამუკა გუგეშაშვილმა და ვახტანგ სურგულაძემ, ხოლო, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

ზურაბ ჩიკვილაძე